# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/16

ქ. თბილისი 6 მარტი 2026 წ.

**„2026-2027 სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 დეკემბრის №01-05-04/193 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „2026-2027 სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით/სამაგისტრო გამოცდებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 თებერვლის №55 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 6 მარტის სხდომის №01-05-02/06 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

**1.** 2026-2027 სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 დეკემბრის №01-05-04/193 დადგენილებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (დანართი).

**2.** დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**